137
1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

1940 წ. №3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 3
მარტი
1940 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-61

საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

„Октомбрели“ журнал Центрального Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии.

შინაარსი

		გვ.
1.	ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი	1
2.	გიორგი ჟუჩიშვილი,—თედოს სიხარული (ლექსი)	2
3.	ილია სიხარულიძე, — ქების სიგელი (ლექსი)	2
4.	კონსტანტინე ლორთქიფანიძე, — ქუჩა (პოემა)	3
5.	ანა ხახუტაშვილი,—ბეჯითი ფისო (მოთხრობა)	5
6.	ანა შულიაკი, — ექიმი სტალინისაგან—თარგმანი ა. დულარიძისა	6
7.	გრიგოლ ცეცხლაძე,—მარგალიტის დღეობა (ლექსი)	8
8.	სტეფან ზორიანი, — ვანუშა — მოთხრ. თარგ. ლ. კარაპეტიანის	8
9.	სანდრო ულენტი, — ბარათი (ლექსი)	11
10.	დავით თურდოსპირელი,—ომიანობა (მოთხრობა)	12
11.	იოსეგ იმედაშვილი,—თამაშობა (მოთხრობა)	12
12.	ირაკლი აბაშიძე,— — ჩვენებური მწერები (ლექსები)	16
13.	ემელიან გიორგაძე, — მოზარდი კვერცხი (ნარკვევი)	გარეკანის მე-3 გვ.
14.	ალ. საჩინოელი,—გაპოცანა	გარეკანის მე-4 გვ.
15.	ვინ ხარ შენ?—(გასართობი)	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ—ი. ქოქიაშვილს

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. ჯიჯინაძე პასუხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 26/II 40 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/III 40 წ. ფორმათა რაოდენობა 20-გვ. $9^1/_2$×14

მთავლიტის რწმუნებული № 2336 ტირ. 16.500 შეკვ. № 279 პოლიგრაფკომბინატი სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28



3636.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი

ჩვენი დიადი სამშობლოს საბჭოთა მთავრობის სახელოვან მეთაურს, დიდი სტალინის უერთგულეს თანამებრძოლს, ბოლშევიკების პარტიის გამოჩენილ მოღვაწეს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს 9 მარტს შეუსრულდა 50 წელი.

საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით შეხვდა ამ შესანიშნავი ადამიანის 50 წლის თავს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით და ქალაქ პერმს დაერქვა ქალაქი მოლოტოვი, ხოლო პერმის ოლქს — მოლოტოვის ოლქი. ქალაქ ტაგანროგის ქარხანა „წითელ ჰიდროპრესს“ ეწოდა მოლოტოვის სახელობის ქარხანა.

სმოლენსკის სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებელს და გორკის საზენიტო არტილერიის სასწავლებელს დაერქვა მოლოტოვის სახელი. აგრეთვე ქალაქ ნოლინსკს ეწოდა მოლოტოვსკი, ხოლო ნოლინსკის რაიონს — მოლოტოვის რაიონი. დაწესდა აგრეთვე მოლოტოვის სახელობის სტიპენდიები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქუჩიშვილი

თედოს სიხარული



რადიოსთან კურდღელივით
დაცუცქულა თედო.
ჩანს, აუხდა, რაც ესიზმრა
და რაც გულში ედო:
ლენინგრადი დღეს ზეიმით
ეგებება „სედოვს“.
გრგვინავს ხალხის შეძახილი,
ორკესტრიც გრიალებს,
ნეტარების ცრემლი წყვილი
მოსწყდა თედოს თვალებს.
აი, თითქოს ხედავს კიდეც
მამაც „სედოველებს“,
ულიმის და თვისკენ უქნევს
თეთრ, ფუნთუშა ხელებს.
ჩვენკენ, ჩვენო დევგმირებო!
ჩვენკენ! ჩვენც მოგელით!
გადმოლახეთ კავკასიის
თოვლიანი ყელი!

ილია სიხარულიძე

ქების სიგელი

მიცუნცულებს სახლში გია,
მისდევს გვერდში სწორებს, ტოლებს,
თავის სიგრძე ქების სიგელს
შინისაკენ მიაქროლებს.
უცქერს გია ქების სიგელს,
რა ლამაზი, რა კარგია!
ზედ ლენინი დაუხატავთ
და სტალინი დიდი ძია!
მიცუნცულებს შინისაკენ
და უცინის ყველას გია!
„სიგელი რომ მომცეს ქების,
ფიქრობს, ალბათ, გაუგიათ“.
გიამ ვერც კი შეამჩნია,
ისე გაჩნდა თავის სახლთან,
აღარ ახსოვს, დიდ კიბეზე
აფრინდა თუ როგორ ახტა,
ოთახები მოირბინა,
სახლში მარტო დედა დახვდა,
„ჰა, სიგელი! — უთხრა დედას,
— აი, ნახე, გამომართვი,
წარმატებით სწავლისა და
კარგი ყოფაქცევისათვის!“
დედას სახე გაუბრწყინდა,
სიგელი რომ წაიკითხა,
შვილი მაგრად ჩაკოცნა და
მკერდს ჩაკრული ჰყავდა დიდხანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე სახელმოხვეჭილი ქართველი მწერალია. მან ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები დაწერა. კ. ლორთქიფანიძე ახლა სიყვარულით ამუშავებს ბავშვებისათვის საინტერესო თემებს. ამ უკანასკნელად მან გამოაქვეყნა „პირფერი მელა“ და ახლა იბეჭდება „ქუჩა“, რომელიც დაწერა საბლიტგამის დავალებით და მოკლე ხანში გამოიცემა ცალკე წიგნად.

რედაქცია

მთელმა კლასმა ამოცანა
გადაწერა სწრაფად.
გიგლამ წიგნიც არ გაშალა,
არც შეხედა დაფას.
არც ეცალა, ოცნებობდა
და გაკვეთილს მოსცდა.
„ნეტავ ერთი იმისთანა
თვითმფრინავი მომცა,
პოლუსიდან პოლუსამდე
თავისუფლად ქროდეს,
შვიდი ჰქონდეს პროპელერი,
ფრთებიც ბლომად ჰქონდეს!
ამოცანის გადაწყვეტას
რა გმირობა უნდა,
აღარ უსმენს მასწავლებელს
და ოცნებობს მუდამ:
„ნეტავ ერთი იმისთანა
თვითმფრინავში ჩამსვა,
არასოდეს არაფერი
არ წაუხდეს არსად.
ავცილდები სტრატოსფეროს
როგორც ლაღი ქორი,
ოღონდ ზურგზე ჩამომკიდეთ
პარაშუტი ორი!“
ნატრობს, თავი ისახელოს,
გახდეს ქვეყნის გმირი...
შავი დაფა ეზიზღება
როგორც შავი ჭირი.
მობეზრდება კლასში ჯდომა,
მოედება ქუჩებს,
ერთი კარგი პიონერი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრულად ურჩევს:
„გინდა მართლა გამოხვიდე
სასახელო ბიჭი?
მაშინ წიგნებს შეალიე
შენი დრო და ნიჭი!
შენ გმირობად ჩაგეთვლება
ფრიადებზე სწავლა,
შენ მიგაჩვევს ვაჟკაცობას
წესიერი გავლა.
თუ ქუჩაში სიარული
არ ისწავლე კაცმა,
როგორ გინდა ცაში ფრენა
ან საზღვრების დაცვა!“
გიგლას ჩუმად ეცინება,
გულში ფიქრობს: „ბრიყვო,
გმიოი უნდა ყველაფერში
გამბედავი იყო!“
ყველა ჯდება ტრამვაიში
როგორც არის წესი,
მაგრამ გიგლას ყველაფერი
პირუკულმა ესმის.
გაქანებულს შეახტება,
აღარ შედის შიგნით,
საფეხურზე დაკიდებულს
ეკარგება წიგნი.
ბურთიც უნდა ითამაშო,
სადაც არის წესი,
მაგრამ გიგლას ყველაფერი
პირუკულმა ესმის.
გიგლასათვის ქუჩა არის
სათამაშო მოლი,
სურს მანქანის ბორბლებს შორის
გაიტანოს გოლი.
გზაზე უნდა გადახვიდე,
სადაც არის წესი,
მაგრამ გიგლას ყველაფერი
პირუკულმა ესმის.
არ მონახავს გადასასვლელს,
ვაჟკაცობას ნატრობს...
და ქუჩებში წარამარა
გადაუსწრებს ავტოს.
ისრიალე გორიაზე,
სადაც არის წესი,
მაგრამ გიგლას ყველაფერი
პირუკულმა ესმის,
გამოვა და არხეინად
წრეს ქუჩაში ავლებს,
ხან ავტობუსს მიაწყდება,
ხან ეხლება გამვლელს.
ყველა იცნობს შუქის ნიშნებს,
როგორც არის წესი,
მაგრამ გიგლას ყველაფერი
პირუკულმა ესმის.
მწვანე შუქი თუ ანათებს,
გაჩერდება გზაში,
თუ წითელი შუქი მოჩანს,
გაიქცევა მაშინ.
მუდამ ცდილობს დაარღვიოს
მოძრაობის წესი,
გმირობა და ვაჟკაცობა
ასე ყალბად ესმის.
მობეზრდება წიგნის კითხვა,
მოედება ქუჩებს.
ერთი კარგი პიონერი
მეგობრულად ურჩევს:
„განა არის ვაჟკაცობა
ბუფერებზე დგომა!
ვაჟკაცია, ვისაც უყვარს
გულდამჯდარი შრომა.
ქუჩას თავი მიანებე:
შეგემთხვევა მარცხი!
გინდა მართლა გამოხვიდე
უშიშარი კაცი?
წამო, სროლას შეგასწავლი,
მერე ბადრო სტყორცნე...
სიმარდეს და ვაჟკაცობას
მხოლოდ სპორტი მოგცემს.
წამო, ცურვას შეგასწავლი,
შეგაყვარებ ორძელს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმარდეს და ვაჟკაცობას
მხოლოდ სპორტი მოგცემს.
წამო, პლანერს გაგიკეთებ,
იყოს ქარზე ჩქარი...
სიმარდე და სილამაზე
მხოლოდ სპორტში არი.
წამო, მოგცემ თხილამურებს,
ვერ გაგასწრებს ქარი...
სიმარდე და სილამაზე
მხოლოდ სპორტში არი.
ივარჯიშე, ითამაშე,
როგორც არის წესი!"
მაგრამ გიგლას ყველაფერი
პირუკუღმა ესმის.
თავი როგორ ისახელოს,
თუ გაექცა ხიფათს?!
გაქანებულ ვაგონიდან
გადმოხტომა ხიბლავს.
ერთხელ შეხტა საფეხურზე
ნინოშვილის ბაღთან,
უცებ ფეხი დაუცურდა...
ქუჩის მსხვერპლი გახდა.
მოირბინა დედამისმა,
თავს დაეცა ძეხი.

გულწასული ეგდო გიგლა,
აკლდა ერთი ფეხი.
რა ლამაზი ბიჭი იყო,
ტანადი და მარდი,
ახლა ვხედავ, ყავარჯენზე
დაბჯენილი დადის.
დავინახავ და ყოველთვის
ჩემს გულს დარდი კორტნის,
მოდის ნელა, ცარიელი
მოაქვს შარვლის ტოტი.

ანა ხახუჯაშვილი

შალიკომ დღეს ყველაზე ადრე გაიღვიძა. გაიღვიძა და ისეთ ხარხარს მოჰყვა, რომ ყველას თვალები დააჭყეტინა.

— რა იყო, რა დაგემართა?—მძინარე ხმით გამოელაპარაკა გაკვირვებული დედა.

— დედა, შეხედე, შეხედე, ჩვენი ფისო დილაადრიან გაკვეთილს სწავლობს! აბა, შეხედე, წიგნში რა კარგად იცქირება!

დედამ ფანჯრისაკენ გაიხედა: ფისო ფანჯარაზე მიყუდებულ გადაშლილ წიგნს კოხტად მისჯდომოდა და დაჟინებით შიგ იცქირებოდა.

— ყოჩაღ, ფისო, ყოჩაღ! — თქვა დედამ.

შალიკო ისევ ხარხარებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა შულიაკი

ექიმი სტალინისაგან

ამა წლის 18 აპრილს ავად გამიხდა ერთადერთი გოგონა ნინიკო. დილით რაიალმასკომში წავედი, ის კი ბავშვებთან დავტოვე სათამაშოდ. როცა დავბრუნდი, ნინიკო უკვე ლოგინში იწვა. მე მაშინვე ვიგრძენი, რომ ნინა ძალიან ავად იყო. ჩვენი ქალაქის ექიმები დაიარებოდნენ ჩვენს სახლში, მაგრამ ბავშვს ვერაფერი უშველეს. მათ დიაგნოზიც კი ვერ დაუსვეს, თუმცა გოგონა ყურის ტკივილს უჩიოდა. ნინას ისეთი ავადმყოფობა ჰქონდა, რომ მისი მსგავსი ჯერ არ ენახათ გამოცდილ ექიმებსაც კი.

20 აპრილს ბავშვი უკვე უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ექიმები ეჭვს გამოთქვამდნენ, ვითომაც ნინას მძიმე ფორმის ტვინის ანთება ჰქონდა.

გოგონა საჭმელს აღარ ღებულობდა და ბევრი ეძინა. თუ არ გავაღვიძებდით, მას შეეძლო სძინებოდა ერთი, ორი და სამი დღეც კი. მე არ ვცილდებოდი მის საწოლს და ყოველ სამ საათში ერთხელ ვაღვიძებდი მას. ის იღვიძებდა, მაგრამ თვალებს კი არ ახელდა. ვხედავდი, თუ როგორ ილეოდა დღითიდღე, დნებოდა ის, მე კი ვერავითარ ღონეს ვერ ვხმაროობდი. და, აი, უცებ მწუხარებისა და აღშფოთების იმ წუთებში თავში გამიელვა აზრმა, დახმარებისათვის მიმემართა ამხანაგი სტალინისათვის.

მე კარგად მესმის, რომ ავადმყოფთათვის დახმარების აღმოსაჩენად არსებობენ ჯანმრთელობის ორგანოები, რომ ეს მათი საქმეა, მაგრამ ერთადერთი ადამიანი, რომლის დახმარების უდაოდ იმედი მქონდა იმ წუთებში, იყო სტალინი.

გავიქეცი ტელეგრაფში და აჩქარებით დავწერე დეპეშა: „ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მიკვდება ერთადერთი გოგონა. გევედრებით, დამიხსნათ და გამომიგზავნოთ პროფესორი“.

მალე კიევიდან ჩვენთან ჩამოვიდა პედიატრი, ხოლო მეორე დღეს, მიუხედავად უგზოობისა, ჩერნიგოვიდან მსუბუქი მანქანით ჩამოვიდა მეორე ექიმი. მკურნალობის დროს საჭირო შეიქნა ყურის ექიმი. ბავშვი უგრძნობლად იყო და მე ხელმეორედ გავგზავნე ელვა კრემლში: „მშობლიურო ამხანაგო სტალინ, მომაკვდავ ბავშვს — შულიაკს აუცილებლად სჭირდება ყურის ექიმი. მშველელს ვერსად ვიპოვნი, მომეხმარეთ, გადავარჩინო ბავშვი“.

ზუსტად სამი საათის შემდეგ ჩვენ ოთახში შემოირბინა ფოსტიდან გამოგზავნილმა კაცმა.

ნინა შულიაკი

— დეპეშაა მოსკოვიდან, — თქვა მან. „თქვენთან გამოიგზავნა სპეციალისტი, — სიხარულის ცრემლებით ვკითხულობდი მე, — გვაცნობეთ შესრულება და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა“.

საჭიროა განა ლაპარაკი იმაზე, რასაც მე განვიცდიდი იმ წუთებში! ხალისი კვლავ დამიბრუნდა. „მაშ, ახლა ჩემი გოგონა იკოცხლებს“ – ვფიქრობდი მე.

რამდენიმე საათის შემდეგ იმავე კაცმა ფოსტიდან მოიტანა მეორე დეპეშა. ის კიევიდან იყო გამოგზავნილი.

„სტალინის განკარგულებით თქვენთან თვითმფრინავით გადმოფრინდა მკურნალი“ — მწერდნენ.

სხვა რომელ ქვეყანაში არის შესაძლებელი ასეთი მზრუნველობა ადამიანისადმი!

ბავშვის გადასარჩენად ბელადმა გასცა განკარგულება თვითმფრინავით გამოეგზავნათ ექიმი და ითხოვდა მოეხსენებინათ მისთვის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ჩვენს პატარა ქალაქში იქამდე არასოდეს არ დაშვებულა თვითმფრინავი, ამიტომ თვითმფრინავის მოფრენა დიდი მოვლენა იყო. ვიღაცამ თქვა: რომ ის დაეშვას, საჭიროა მიწაზე დაიხაზოს თეთრი ფერის დიდი ასო „T“. შეიტყვეს რა ამის შესახებ, ბავშვები მაშინვე გაექანენ სახლებისაკენ, მოარბენინეს, რაც მოხვედროდათ ხელში: პირსახოცები, ზეწრები და თვითმფრინავის დაშვების ადგილას დაფინეს ისინი წესის თანახმად. ბოლე გამოჩნდა თვითმფრანავი. მფრინავმა, რასაკვირველია, შენიშნა ზღვა ხალხი და პირდაპირ ჩვენკენ. გამოემართა, ორჯერ-სამჯერ შემოტრიალდა ზევით და დაეშვა მიწაზე. თვითმფრინავიდან გადმოვიდა ექიმი, რომელმაც მაშინვე თქვა: – დაუყოვნებლივ წამიყვანეთ ავადმყოფ ბავშვთანო.

გამოცდილმა ექიმმა ნინას ოპერაცია გაუკეთა. ბავშვი უკეთ შეიქნა. ჩემმა გოგოცუნამ ლაპარაკი იწყო. მანამდე კი ის თორმეტ დღეს უხმოდ იწვა. ჭამაც დაიწყო, სახეზე ფერი მოუვიდა.

ჩემს ნინიკოს საწოლის თავზე დავუკიდე ამხანაგ სტალინის სურათი და ახლა ვინც არ უნდა მოვიდეს ჩვენთან, ის ყველას უთითებს ამ სურათზე და ეტიტინება: ეს ძია სტალინი არის, რომელმაც მე ექიმი გამომიგზავნაო.

მალე ჩემი ნინა სამი წლისა იქნება. ვუმზერ მას და ვცდილობ წარმოვიდგინო ის უკვე გაზრდილად, ასე, ათი წლის შემდეგ. მიაბიჯებს ჩემი ნინუცა სკოლისაკენ, ჩანთით ხელში, მკერდზე წითელი ყელსახვევით. „მადლობა ამხანაგ სტალინს! ბედნიერი და მხიარული ბავშვობისათვის“ — ამბობს ის თავის მეგობრებთან.

ბედნიერი მყავხარ, ჩემო გოგონა, რომ საბჭოთა მხარეში დაიბადე და ცხოვრობ!

უკრაინა, ქალაქი კხოლევეცი.

თარგმანი ან. დულარიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

მარგალიტის დღეობა



პატარა მარგალიტი
დღეს ორი წლის ქალია,
დედა უხდის დღეობას,
სიხარულით მთვრალია.

ოთახს რთავენ, აწყობენ
სურათებით, ვარდებით,
ზეიმისთვის კატებიც
მორთეს ფერად ბაბთებით.

მედღეობეს მიართვეს
ბურთები და რგოლები,
მოსალოცად მივიდნენ,
შეიკრიბნენ ტოლები.

პირველ ირა მოვიდა,
ჰგავდა დედოფალასა,
ეცვათ ახალ-ახლები
ციალას და ალასა.

ჭრელი კაბა შვენოდა
ცუკრუმელა ვეტასა,
მერაბი და ომარიც
მოჰყვნენ თავის დედასა.

შემდეგ შოთა მოვიდა,
მან მოუძღვნა ჩიტი,
ერთი სიტყვით, ზეიმი
იყო ფრიად დიდი.

იყო ჩაი მურაბით,
კამფეტები, ხილები;
ჩურჩხელებიც მიირთვეს,
ვისაც ჰქონდათ კბილები.

ცეკვავდნენ და მღეროდნენ,
გასძახოდნენ „დელასა“,
მარგალიტი ალერსით
ეფერეოდა ყველასა.

სტეფან ზორიანი

ვანუშა

თქვენ ვანუშას, რა თქმა უნდა, არ იცნობთ: ის ჯერ ცნობილი არ აოის, ჯერ ჯერობით არც თავისი სოფლიდან გასულა და, ამას გარდა, იმდენად პატარაა, რომ წელს მხოლოდ ძესამე კლასში გადავიდა.

მაგრამ თავისი უბნის ბავშვები მას კარგად იცნობენ: იციან, რომ ვანუშა ქვას მარჯვედ ესვრის კაკლის ხეებს, თამაშობის დროს ყველაზე სწრაფად გარბის. როდესაც დედა ბაბბის მოსაგროვებლად მიდის, ვანუშა ხშირად მისდევს საშველად. როცა დაიღლება, ბრუოდება და ხელახლა თამაშობს ბავშვებთან.

იმდენს თამაშობს, რომ საღამოობით ზოგჯერ უვახშმოდ იძინებს, ხანდახან კი შუაღამეშდის ზის და გაკვეთილებს სწავლობს.

საოცარი" ბიჭია ვანუშა.

ერთხელ ის ცნობილი გახდა მთელს სოფელში და კოლმეურნენი რამდენიმე დღეს ერთთავად მასზე ლაპარაკობდნენ:

— რა ყოფილა ვანუშა!

— რა ყოფილა ვანუშა!

მერე, რა მოხდა ისეთი?

ერთ საღამოს, როდესაც გარეთ ბნელოდა და წვიმდა, ვანუშა იჯდა და გაკვეთილებს ამზადებდა. მამა შემოვიდა მთლად დასველებული. თოფი ოთახის კუთხეში მიაყუდა და მოწყენილი ხმით უთხრა ცოლს:

— დედაკაცო, მაციებს, ლოგინი დამიგე!

ვანუშას მამას დიდიხანია აციებდა, როდესაც ავად გახდებოდა, ცოლი ჟოლოს ჩაის დაალევინებდა, ზრუნვით დააწვენდა და ერთი ორი დღის შემდეგ მამა კარგად ხდებოდა. ახლაც დედამ ლოგინი დაუგო და ჩაი დაუმზადა. მამამ უთხრა ვანუშას:

— გაიქეცი, ვანუშჯან, კანცელარიაში, თავმჯდომარეს უთხარ, მამაჩემი ავად გახდა-თქო. დარაჯი დააყენოს საწყობთან.

ვანუშამ დაუყოვნებლივ აიღო ჯოხი ძაღლების მოსაგერებლად, თავზე წოწოლა ქუდი, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, „პოპოზი" დაიხურა და გარეთ გავიდა.

ბნელოდა და წვიმა წვრილად ცრიდა. ქუჩებში არავინ არ იყო, ძაღლებიც არა ყეფდნენ, შეიძლება წვიმის გამო.

კოლმეურნეობის კანცელარია შორს არ იყო. ვანუშა მალე მივიდა კანცელარიაში.

მაგრამ კანცელარიიდან სინათლე არ მოჩანდა. ცხადია, დაკეტილია. თავმჯდომარე შინ თუა წასული.

აი საქმე!

ვანუშამ გაიფიქრა; დავბრუნდები მამას შევატყობინებ, რომ კანცელარია დაკეტილია, რომ თავმჯდომარე აქ არ არისო, მაგრამ იმ წამსვე მოიაზრა: შეიძლება თავმჯდომარე შინ არის და მამა კვლავ გამგზავნის იმასთანო, და ვანუშა ჯოხით ხელში და „პოპოზით" თავზე წავიდა თავმჯდომარის სახლისაკენ.

წვიმა განაგრძობდა ცრას.

გზაზე ერთ-ორ ადგილას ძაღლებმა ეზოებიდან დაიყეფეს. ერთ ადგილას ერთი სამგლე ძაღლი გამოვარდა ქუჩაში, მაგრამ როცა დაინახა, რომ გამვლელი პატარა ბიჭი იყო, არაფრად ჩაგდო და არ მივარდა. ვანუშას კი ეგონა, რომ ძაღლს მისი ჯოხისა და „პოპოზის" შეეშინდა.

ბოლოს, როდესაც თავმჯდომარის სახლთან მივიდა, ქუჩიდან ქაქანით ხმა მისცა:

— ამხანაგო ნიკოლ! ამხანაგო ნიკოლ!

ჯერ პატარა ძაღლის ყეფა მოისმა, მერე ქალის ხმა.

— ვინ არის?

— ამხანაგი ნიკოლა შინაა?

— არა, ჯერ არ მოსულა...

ვანუშამ აღარაფერი აღარ ჰკითხა: რაკი თავმჯდომარე შინ არ იყო, რაღა ეკითხა — მხოლოდ მას შეეძლო ახალი დარაჯის დაყენება მამამისის მაგიერ. მეტი ღონე არ იყო, შინ უნდა დაბრუნებულიყო.

ვანუშა გამობრუნდა, რათა მამისათვის შეეტყობინებინა, რომ თავმჯდომარე არც კანცელარიაში იყო, არც შინ.

მაგრამ როდესაც დაბრუნდა, მამას უკვე ეძინა, შესვლისთანავე დედამ პირზე მიიდო ხელი: ჩუმად ილაპარაკე, მძინარე მამა არ გააღვიძოო.

ვანუშამ ჯერ მამას გადახედა, მერე დაბალი ხმით უთხრა დედას, რომ თავმჯდომარე არც კანცელარიაში იყო, არც შინ.

— ეგ კარგი არ არის, — მიუგო დედამ — შეიძლება საწყობს რამე დაემართოს, მერე...

— რა დაემართება? — ჩურჩულით შეეკითხა ვანუშა.

— შეიძლება ქურდები შევიდნენ, ხორბალი მოიპარონ და მერე მამაშენს დააბრალონ, მას ხომ არავისთვის უთქვამს, რომ საწყობი უპატრონოდ დატოვა და შინ მოვიდა.

დედის სიტყვებმა საგონებელში ჩაგდო ვანუშა.

— გინდა, მე წავალ, დედილო, თოფს ავიღებ და წავალ? — თქვა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— არა, არა, დაიძინე. ახლა არავინ არ იცის, დარაჯი არის თუ არა იქ, ყველამ იცის, რომ საწყობში მუდამაა დარაჯი. არაფერიც არ მოხდება... დაიძინე...

და დედამ ვანუშა დაამშვიდა, დააწვინა, ცოტა ხნის შემდეგ ლამპა ჩააქრო და თვითონაც დაწვა. ის იმდენად დაღლილი იყო, რომ მაშინვე ჩაეძინა.

მაგრამ ვანუშას ძილი არ ეკარებოდა: მწოლარე ფიქრობდა, ვაი თუ მართლა ქურდები შევიდნენ საწყობში და ხორბალი მოიპარონო; მაშინ ხომ, როგორც დედამ თქვა, მამას დააბრალებენ... გარდა ამისა, თუ ხორბალი მოიპარეს, მათი ოჯახი ხორბალს ვეღარ მიიღებს, სურიკაანი, ყველა მისი ამხანაგი და მეზობელი უპუროდ დარჩებიან. და ვანუშას თვალწინ წარმოუდგა, როგორ შედიან ქურდები საწყობში, როგორ იკიდებენ ზურგზე ხორბლით სავსე ტომრებს, როგორ მიაქვთ.

დილით ხალხი ხედავს ცარიელ საწყობს, თავმჯდომარე კი ტუქსავს ვანუშას მამას: კარგი დარაჯობა არ გაგიწევიაო; ამასვე ეუბნებიან კოლმეურნეები.

ვანუშა ფიქრობდა და თან ყურს უგდებდა დედ-მამის სუნთქვას. მამა წინანდებურად ღრმად და მძიმედ სუნთქავდა. დედის სუნთქვა კი ჯერ არ ესმოდა. ბოლოს დედის მძიმე სუნთქვაც მოესმა. ვანუშამ ცოტაც დაიცადა, ყური მიუგდო წვიმას, მაგრამ წვიმის ხმაც აღარ ისმოდა: ჩანს, გადაეღო.

ამან ვანუშა გაახარა, ფრთხილად ადგა, ნელნელა ჩაიცვა, თავისი „პოპოზი" თავზე დაიხურა, მერე მამის თოფი აიღო, კარები ფრთხილად გამოაღო და გარეთ გავიდა.

აღარ წვიმდა, მაგრამ მაინც წინანდელივით ბნელოდა და სიწყნარე იყო. არც კაცი მიდიოდა სადმე, არც ძაღლი ყეფდა.

ვანუშამ შეხედა ცას, მერე სწრაფად გაუდგა გზას.

მიდიოდა ძველი ეკლესიისაკენ, რომელზედაც სოფლელებს ჯვრის მაგიერ ვარსკვლავი გაეკეთებინათ და კოლმეურნეობის საწყობად გადაექციათ.

ვანუშას ორმოციოდე ნაბიჯიღა დარჩა საწყობამდის, როდესაც ორი ლანდი შენიშნა კარებთან, მაგრამ არა დიდ კარებთან, რომელიც ქუჩისკენ იყურებოდა, არამედ გვერდის პატარა კარებთან, სადაც ბავშვები თვალხუჭიაობას თამაშობდნენ ხოლმე.

მაგრამ ნუთუ ისინი კაცები არიან? ვანუშა გაჩერდა, რომ უფრო კარგად დაენახა.

უცებ გული აუტოკდა: ლანდები კაცები იყვნენ, ისინი რაღაცას აკეთებდნენ იქ, მაგრამ რას — ვანუშა ვერ ხედავდა, ისე ბნელოდა. ხელახლა რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა, მიუახლოვდა კუთხეს და კედელს ამოეფარა.

კაცები რალაცას აკეთებდნენ, ხანდახან უკან იყურებოდნენ.

— ჩქარა, წვიმა გადაიღო, ახლა საცაა მოვა — თქვა ერთმა. ვანუშა მიხვდა, რასაც აკეთებდნენ, მთელი სხეული აუკანკალდა და ვაჟკაცური ხმით დაიყვირა:

— ეი, რას აკეთებთ მანდ!

კაცებმა ჯერ აქეთ-იქით მიიხედეს, მერე თხრილისაკენ გაიქცნენ სწრაფი ნაბიჯით.

— ქურდები, ქურდები! — დაიძახა ვანუშამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

და ამ სიტყვებს იმეორებდა ერთთავად, დარწმუნებული რომ ამ ხმაზე კოლმეურნეები ქურდების დასაჭერად გამოცვივდებოდნენ.

და მართლაც, დიდიხანი არ გასულა, რომ მეზობელი სახლიდან ერთი კაცი გამოვიდა, პერანგზე რალაცა გადაეცვა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე... — რა ქურდები, ვინ ქურდები? სად არიან ქურდები?

— ძია, აი, აქეთ წავიდნენ, — თქვა ვანუშამ: — დავიყვირე და გაიქცნენ....

კაცები მიუახლოვდნენ საწყობის ბოტარა კარებს, ასანთს მოუკიდეს და ხეევრად დამტვრეული ბოქლომი იპოვეს.

— დარაჯი სად არის? — თქვა ერთმა.

— დარაჯი მე ვარ, — წამოდგა წინ ვანუშა.

— შენ? შენ ვინა ხარ?

— მე ოჰანესას შვილი ვარ. მამაჩემს გააცია, შინ წევს, მე მოვედი მის მაგიერ...

კაცებმა გაიცინეს.

— ძაშ შენა ხარ დარაჯი?

— შენი სახელი?

— ვანუშა...

— ჰო, შენ ხარ ვანუშა... ვანუშა...

კოლმეურნეთაგან ორი სადარაჯოდ დარჩა, ერთმა კი ვანუშა შინ მიიყვანა.

რამდენიმე დღეს სოფელში ვანუშაზე ლაპარაკობდნენ: როგორ იდგა დარაჯად მამის ადგილას და როგორ გააქცია ქურდები...

აი რა ყოჩაღი ბიჭი იყო ვანუშა!

თარგმანი სომხურიდან **ლ. ქარაპეტიანისა**



სანდრო ქლენჯი

მოგიკითხავ, ძმაო გივი,
სიყვარულით გწერ ამ ბარათს...
ნუცაც ხშირად მოგიგონებს,
თან ტიკტიკებს წარამარა.

ტიკტიკებს და უცბად ისევ
ატირდება, მომთხოვს რამეს,
შენზე კითხვით არ მასვენებს
მთელი დღე და მთელი ღამე.

რომ დაწყნარდეს ეს კუდრაჭა,
დავპირდები ხოლმე კაკას;
როცა სძინავს, მაშინაც კი
ნუცას ტუჩებს ღიმი აკრავს...

გვწერდი, ძმაო: კარგად ვარო,
არ იფიქროთ ჩემზე სულაც,
ჩვენ სამშობლოს დასაცავად
აქ ხალისით წამოვსულვართ.

წავიკითხე, გამეხარდა,
გივი, შენი სიყოჩაღე
და წერილმა, რომ იცოდე,
გაგვიბრწყინა ყველას სახე.

და გაზეთში როცა მამა
კითხულობდა სიხარულით,
მე ვხტოდი და ჩემზე მეტად
უტოკავდა დედას გული.

ლამის მამაც აამღერა
ამ სიტყვებმა, როგორც ბავშვი:
— გმირობისთვის დაჯილდოვდეს
არმიელი გივი ლაშხი.

და თქვა მამამ ესეც გრძნობით:
— საყვარელი ჩემი შვილი
სურათშიაც როგორ ყინჩად
დგას ორდენით მკერდგაშლილი!

გაგვახარე, ძმაო გივი,
შეხც იხარე კიდევ უფრო;
რომ ჩამოხვალ, მაშინ დიდხანს
ვიცინოთ და ვისაუბროთ.

ნეტავ ახლაც რომ შემეძლოს,
მოვიდოდი შენთან ფრენით,
გნახავდი და განახვებდი
მეც ჩემ ნიშანს — ძია ლენინს.

მოგიკითხავ, ძმაო გივი,
გულიც მუდამ მაგრად გქონდეს,
ტუჩზე კოცნით, ნახვის ნატვრით
მოგილოცავთ წითელ ორდენს!

დავით თუარდოსპირელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომიანობანა

(თამაშობა)

ბავშვებმა ომიანობანას თამაში გადაწყვიტეს. ერთი რაზმი წითელარმიელებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, მეორე რაზმი-სამურაელებისაგან.

საომარი ადგილიც ჩინებული ჰქონდათ შერჩეული. ყოველ მხრივ მზად იყვნენ. ერთადერთი გარემოება აბრკოლებდათ: სამურაელობას არავინ კისრულობდა. ვერც კენჭის ყრამ უშველა.

თამაში ჩაეშლებოდათ, ერთ ბიჭს რომ არ წამოეძახა:

— ბიჭებო, მე გამოსავალი ვიპოვე!

— აბა, თქვი!

— აი, რაგორ მოვიქცეთ! დავიწყოთ ომიანობანა. ჯერჯერობით ნურც ერთს ნუ ვუწოდებთ სამურაელთა რაზმს, ეს ბრძოლამ გადაწყვიტოს: რომელიც დამარცხდება, ის იყოს სამურაელთა რაზმი.

წინადადება ყველას მოეწონა.

დაიწყო ომიანობანა. ყველას თავი წითელარმიელად მოჰქონდა და მოწინააღმდეგე მიაჩნდა სამურაელად.

საკვირველია, დაღლილობას არავინ გრძნობდა... თვითეული უკანასკნელ ძალღონეს იკრებდა, რომ არ დამარცხებულიყო, სამურაელობა არ დარქმეოდა...

ისმოდა კიჟინი. მართლა ძალიან საინტერესო სანახავი იყო მათი ომიანობანა, ხან ერთი ძლევდა, ხან მეორე, ხოლო საბრძოლო მოედნიდან არც ერთი ჯგუფი არ გამოდიოდა. ბოლოს ერთმა ბიჭმა წამოიძახა:

— ყველანი ყოჩაღები ვართ, ყველანი წითელარმიელები ვართ! — და ასე დაასრულეს თავიანთი ომიანობანა. ამ აზრს ყველანი დაეთანხმნენ.

თამაშობა

იოსებ იმედაშვილი

— ამხანაგებო, სოცშეჯიბრებაში გამოწვეული სკოლის მოწაფენი ხვალ ჩვენთან მოვლენ ფიზკულტურაში გასაჯიბრებლად, — განაცხადა პიონერხელმძღვანელმა.

— მერე? — შეაჩერდა ციბრუტა.

— მერე და ჩვენი ძალაც უნდა ვუჩვენოთ.

— მაშ არა და! — ჩაურთო შაქარამ: უნდა ვუჩვენოთ, მაგრამ ი ღმერთძალლები ძლიერები არიან.

— მართალია, ძლიერები არიან! — დაუმატა ეთერომ და ციბრუტას შეხედა.

ციბრუტას ჟრუანტელმა დაუარა, სხეულმა ცახცახი დაუწყო.

— არ იქნება, ჩვენებურ თამაშში გავეჯიბროთ?

— შეიძლება, — მიუგო პიონერხელმძღვანელმა.

შაქარა სიხარულისაგან შეხტა, ცალ ფეხზე შემოტრიალდა, ასკინკილა დაუარა, თან შემოსძახა:

— მოვლენ და მოვიდნენ!

— ეს ბურთი და ეს მოედანი! — ჩაურთო ნაგლიამ, რომელსაც დღეღამე ტანვარჯიშობასა და ბოლაძუნში უთენულამდებოდა.

მეორე დღისათვის სკოლის ეზოში სიცოცხლის წყარო აჩუხჩუხდა. ორი სკოლის ფიზკულტურელნი თავ-თავისი ჩაცმულობით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ხალისი და აღტაცება ზეიმობდა.

მართლაც, ლამის სტუმრები მასპინძლებს სძლევდნენ.

— ლ ა ხ ტ ო ბ ა ნ ა, ბიჭებო, ლახტობანა! — წამოიძახა ციბრუტამ.

— მოვიდეს, მოვიდეს! — მიუგეს სტუმრებმა, თითქოს მოგებით თავგასულებმა.

— მაშ წილი ვყაროთ!

წილით მასპინძლებს „თავდამცველობა“ ერგოთ. ციბრუტა, შაქარა, ნაგლია, თენგო და რეზო წრეში ჩადგნენ ერთიმეორის მოშორებით, ქამრები ფეხქვეშ დაიყარეს, მარჯვენა ფეხი წრისაკენ მოუფარეს წრის გარედან „დამცემთა“ მოლოდინში.

სტუმრები — „დამცემნი“: ლენკო, სოკრატ, ანზორ, რაფი და ლონგო, წრის გარედან დაუტრიალდნენ წრეში მყოფთ, თვითეული მათგანი ცდილობს წრეში მყოფი ხელთ იგდოს, გადაითრიოს, ლახტი გასტაცოს, მაგრამ წრეში მყოფნი მარჯვედ უხვდებიან. „დამცველნი“ ისე გამძაფრდნენ, რომ წრეში მყოფთ აღარაფრით არ ინდობდნენ და ყველგან სცემდნენ.

— სახეში ნუ! სახეში ჯერი არ არის! — მიუგებს ციბრუტა, იმავე დროს კანჭს უმარჯვებს, ქამრის ცემით გამოწვეულ ტკივილს არად იმჩნევს, ქამარს უფრთხილდება, აქეთ-იქით იყურება, რომ უკანიდან არავინ დაეცეს, თან ცდილობს დამცემი ფეხში დაჭრას ფეხის გამოკვრით, და, აჰა, ფეხი გამოჰკრა კიდეც, ერთი დაჭრა, მეორე წამოეტანა, ამასაც მოარტყა ფეხი და თან შესძახა:

„ეგდაორეს“...

წრეში მყოფთ დამცემნი დაჭრეს.

მებრძოლთ ბანაკი შეიცვალა.

ახლა დამცემნი წრეში შეყარეს. წრეში მყოფნი ციბრუტას მეთაურობით გარედან მოექცნენ.

ციბრუტა მიუბრუნდა, ერთს ხელში ხელი სტაცა, გადმოიქნია და წრიდან გამოიტაცა, იმავე დროს მიწაზე დახვეულ ქამარს ისე გადმოჰკრა ქამარი, რომ გამოასრიალა. წრეში მყოფთ ვერც კი მოისაზრეს მისი დაცვა, ან დამცემის „დაჭრა“; მეორეს შაქარამ ლახტი თავში

უმიზნა, მაგრამ უცებ მიზანი შეცვალა, ფეხში გამოჰკრა და ქამარი შორს გამოსტყორცნა... ნაგლიამ ორს ზედიზედ გამოაცალა ლახტი. უკანასაც ისე აუწვა კანჭები ციბრუტამ, რომ ვერც ამან დაიცვა თავისი ლახტი...

წრეში ჩამწყვდეულ განიარაღებულთ გარედან ჟაპაჟუპი აუყენეს ქამრებით.

— მასწავლებელო, გააჩერეთ, ცოდონი არიან, ეს ხომ ველურობაა! — შესთხოვს ეთერი მასწავლებელს.

— ერთის შეხედვით გეჩვენება აგრე! — მიუგო მასწავლებელმა. — დაუკვირდი: ეს თამაში ავითარებს კუნთებს, სწრაფ მოსაზრებას, თავდაცვისა და თავდასხმის უნარიანობას.

— ორმობურთი, ორმობურთი! — დაიძახეს ლახტობანაში დამარცხებულმა სტუმრებმა.

— მოდის! — მიუგეს გამარჯვებულმა მასპინძლებმა და ხელდახელ ათი პატარა ორმო ამოთხარეს ერთიმეორის დაშორებით.

თვითეულ მოთამაშეთაგანს ნაპირიდან ორმოებს შორის ბურთი ისე უნდა შეეგორებინა, რომ თავის ორმოში ჩაეგდო; თუ ორმო მეორე ნაპირთან იყო, ან გვერდით, ისეთი ანგარიშით უნდა გაეკრა ხელი, რომ სხვა ორმოებზე გადაევლო და სწორედ მის ორმოში ჩავარდნილიყო, ხოლო თუ ახლო იყო — ისე მძიმედ გაეკრა, რომ მის ორმოს არ გასცილებოდა.

ციბრუტამ და შაქარამ აქაც გაიმარჯვეს, მაგრამ არც სტუმრები დამარცხებულან.

ორივე მხარეს საზრიანობა, თავზომიერება და ალღო თითქმის თანასწორი გამოაჩნდა.

— წრებურთობა, წრებურთობა! ვინც ბიჭია, აქ გამოჩნდება! — დაიძახა ნაგლიამ:

— მაშ არა და! — გახტა შაქარა, ქუდში ორი საწილე ნიშანი ჩააგდო და სტუმართა მეთაურს გაუწოდა. სტუმრებს შეხვდათ წრეში გაჩერება.

ხუთი წრეში შევიდა, ერთიმეორეზე დაშორებით გაჩერდნენ ერთმანეთისაკენ ზურგშებრუნებით. ხუთივენი შემოხვეულ „მტერს“ ათვალიერებენ, უთვალთვალებენ, რომ ბურთი არსაიდან ესროლონ. წრის გარედან შემოხვევიათ ხუთისაგან შემდგარი „მტერი“. ერთ მათგანს ბურთი უჭირავს კალთის ქვეშ ფარულად. დანარჩენ ოთხსაც ხელი ისე დაუმუშტავს და კალთის ქვეშ ამოუფარებია, რომ წრეში მდგომთ ვერ გაურჩევიათ, ბურთი ვის უჭირავს, ვის მოერიდონ, ამიტომ ყველას უთვალთვალებენ.

აგერ გარედან უცებ ბურთი სტყორცნეს წრეში მყოფებს და გაიფანტ-გამოიფანტნენ. ერთმა წრეში მყოფთაგანმა ბურთი აიტაცა და თავდამცემთვე ესროლა „დასაკოდად“, მაგრამ უშედეგოდ: ვერც ერთს ვერ მოარტყა, წრის გარედან ბურთი ისევ ესროლეს წრეში მყოფთ. ამჟამად კი წრეში მყოფთაგანმა ისე მარჯვედ ესროლა ბურთი დამცემთ, რომ ერთი მათგანი „დაჭრა“.

წრეში მყოფნი გავიდნენ, წრის გარეშენი წრეში შევიდნენ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, აგრე! — შეაქო მასწავლებელმა: — ორივე მხარეს კარგად გაქვთ განვითარებული თავდაცვისა და თავდასხმის უნარიანობა. ამით ისწავლით, როგორ იყოთ ყოველთვის მზად მტრის თავდასხმისას, აგრეთვე — როგორ დაესხათ ჩასაფრებულთ. ისე ფხიზლად უნდი იყოთ, რომ მტერი არ შემოგეპაროთ, ისე მარჯვედ, რომ მტერი ხელიდან არ გაგისხლტეთ.

ეთერს, თვით ციბრუტას და სხვებსაც ეს უბრალო თამაში ეგონათ, მაგრამ თურმე ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილა.

— ჩილიკობა, ბიჭებო, ჩილიკობა! ვინ არის ფილტვებმაგარი, ხელმარჯვე?!

— ჩილიკობა, თუ რიკტაფელა?

— ერთიცა და მეორეც. ჯერ ჩილიკობა, აბა, ჩილიკას გავკრავ, გამოუდექ, აიტაცე, მომიტანე სირბილითა და ორი სიტყვის ძახილით.

— ეს არ ვიცი!

— აბა, შაქარ, მაშ, შენ უჩვენე, როგორ უნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აქედან და იქიდან ვიძახო, თუ იქიდან?

— როგორც გინდა!

ციბრუტამ დედოჯოხით გაკრა ჩილიკა.

შაქარა გაედევნა სირბილით, „აწია და კოოწელა, აწია და კოოწელას“ ძახილით და ამავე ძახილით ჩილიკა მოურბენინა.

— მაშ, ახლა მე! — წამოიძახა სტუმართაგანმა.

ციბრუტამ დედოჯოხით გაკრა ჩილიკა.

სტუმართაგანი კი იმავე „აწია და კოოწელას“ ძახილით გამოუდგა, ჩილიკას ხელი დასტაცა და მოტრიალდა, მაგრამ სულამოხუთულს შუა გზაშივე შეუწყდა ხმა...

— ეგ ჯერი არ არის! — მიუგო ციბრუტამ: წაგებული ხარ.

— რა ვქნა, არ შემიძლია, კინალამ გული შემიღონდა.

— მაშ, შეეჩვიე, ფილტვები განივითარე, ძალა გამოიჩინე, აიტანე.

— რიკტაფელა, რიკტაფელა! — დაიძახა თენგომ. — ვინ მეთამაშება?

— აქ ვარ ბიჭი ლონგა! — მიუგო ლონგინოზ მჭადიაშვილმა და გადმოხტა: — დაიწყე.

თენგომ იქვე მიწაში ბოწკინტი ჩაარჭო, ჩილიკა მუჭაზე დაიდო, აისროლა, დედოჯოხით შორს გაკრა და გასძახა:

— თუ ბიჭი ხარ, ბოწკინტს უმიზნე!

ლონგომ ჩილიკა გამოისროლა, მაგრამ პალომდის ვერ უწია. თენგომ ჯოხით გადაზომა მანძილი და გასძახა:

— ვერ მოგართვით, ორი ზომით დასცილდი! — მიუგო და ჩილიკა ისევ გატყორცნა.

ლონგომ ხელახლა გამოისროლა ჩილიკა ბოწკინტისკენ, მაგრამ თენგომ მოახლოებულ ჩილიკას ჰაერშივე ჯოხი გაჰკრა და უკან დაუბრუნა:

— ინებე და იგემე!

ლონგო გამწარდა, გატყორცნილი ჩილიკა ჰაერში დაიჭირა და ისე უმიზნა ბოწკინტს, რომ მოარტყა და გააცილა კიდეც.

თენგომ ჯოხი დააზმანა. ჩილიკა ბოწკინტს ნახევარ ზომაზე გასცილებოდა. — მოარტყი, მოგებული ხარ — და ჩილიკა ჯოხი გადასცა.

ფიზკულტურაში ორივე სკოლა თანაბარი გამოვიდა, ხოლო ხალხურ თამაშში ციბრუტას ჯგუფმა გაიმარჯვა და პირველ რიგზე დადგა.

— წელს თქვენ გვაჯობეთ ჩვენებურ თამაშში, — უთხრა მასპინძლებს სტუმრების მეთაურმა, — მაგრამ ვნახოთ, ექვსი თვის შემდეგ რა იქნება!

— თქვენი გამარჯვება, ჩვენი დამარცხება! — მიუგო ღიმილით ციბრუტამ.

— მაშ არა და! — გაიღრიჭა შაქარა. — მაგრამ ჯერ ძილო, მერე სიზმარო! მობრძანდით და ვნახოთ...

— აქ რომ არ დაგვხვდეთ?

— ჩვენზე უკეთესები დაგხვდებიან!

ირაკლი აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება.[1])

ჩოქმღა

დაჩოქილს ჰგავს და სახელიც
სწორედ ჰქვია შესაფერი,
სასარგებლო მწერი არის,
მავნებლების დიდი მტერი.

მწვანეა და მწერთა ვეფხვმა
მშვენიერი ფრენაც იცის,
მაგრამ როცა მსხვერპლს სდარაჯობს,
გაუნძრევლად ზის და იცდის.

ეკლებიან წინა ფეხებს
თვისება აქვთ იმისთანა,
მწერს რომ დაჰკრავს, იკეცება,
როგორც ჩვენი ჯიბის დანა.

ჭიანჭველა

შეთანხმება ასე მხოლოდ,
თუ იციან ძმობილებმა,
ჭიანჭველებს საოცარი
წესი აქვთ და წყობილება.

გუნდში მთელი სამუშაო
აწევს მუშა — ჭიანჭველებს,
ნახავთ, აგერ მასზე მძიმეს
ზოგი ნადავლს მიაჭენებს.

სდარაჯობენ ზოგნი ბუდეს,
არ ტოვებენ კარებს ღიად,
მატლებს ზრდიან, საკვებს კრეფენ
და ფრთები კი არ ასხიათ.

ძროხები ჰყავთ, მათთვის ომიც
ქუხს და ვინლა შეაჩერებს...
პატარებო, დაუკვირდით
ფუტკრებსა და ჭიანჭველებს.

ბუზები

არ გვასვენებს, მით უმეტეს,
თუ ზაფხულის ამინდია,
ვინ აღწეროს, ბუზისაგან
მავნებლობა რა დიდია.

დააჯდება სნეულს წყლულზე,
ნახეთ მისი ჩვეულება,
ჩირქსა წოვს და ჯანმრთელისკენ
მიაქვს მწარე სნეულება.

კვერცხებს დებენ ასეულებს,
მილიარდი ბუზიც ჩნდება,
და სურსათიც საეჭვოა,
როცა ბუზი დააჯდება.

კარგი არის, რომ ობობაც
ანადგურებს და სხვა მწერიც...
პატარებო, არ გაუშვათ
ჯანმრთელობის დიდი მტერი!

კოღო

ამ მავნებელს ვინ არ იცნობს,
არის მართლა საშიშარი,
მისი მოდგმა ჭაობების
ჰაერში და წყალშიც არი.

ხორთუმი აქვს, ჩხვლეტა იცის,
ჯიქურ მოდის შეტევაზე,
მწარედ გიკბენს, დაუნდობლად,
მალარიას შეგთავაზებს.

წყალზე კვერცხს დებს და მატლები
წყლის სიღრმეში ჩაძვრებიან,
დაცურავენ, იზრდებიან,
თითქოს წვრილი ბაწრებია.

მამალი არ იკბინება,
დედალია ჩვენი მტერი,
ჭაობებს რომ ამოვაშრობთ,
სად გაჩნდება ეგ ოხერი!

(დასასრული იქნება)

[1]) დასაწყ. იხ. ჟურ. „ოქტ." № 2.

ემეღიან გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდი კვერცხი

ერთი ფრანგული ანდაზაა: ერბოკვერცხი ისე არ მომზადდება, თუ კვერცხი არ გაიტეხაო. შენ როგორ ფიქრობ, მართალია ეს?—შეეკითხა ედიშერს მამა, როცა იგი ერბოკვერცხით საუზმობდა. ედიშერს გაეცინა.

— აბა, როგორ უნდა მოვაცილოთ ნაჭუჭი, თუ არ გავტეხეთ. ამას რაღა თქმა უნდა,—უპასუხა ედიშერმა.

— ქიმიკოსისათვის ეს ძალიან ადვილია. გაათავე საუზმე და გიჩვენებ.

ედიშერი ძალიან დაინტერესდა, გამოუტანა მამას კვერცხი და მისცა. მოუთმენლად ელოდა ცდებს.

— აი, რა გითხრა: შენ ხომ იცი, მარმარილოზე როგორ მოქმედობს მარილმჟავა. სწორედ ისე მოუვა ჩვენს კვერცხს. მოიტანე მჟავა.

დიდი მინის ჭიქა გაავსეს მარილმჟავათი და შიგ კვერცხი ჩაუშვეს.

კვერცხი ჩაშვებისთანავე ამოტივტივდა, შემდეგ ისევ დაეშვა.

კარგახანს იმოგზაურა კვერცხმა, შემდეგ თანდათანობით შეანელა სვლა და ფსკერზე გაჩერდა.

— ახლა ხედავ, რომ სიფრიფანა აპკი აქვს მხოლოდ გადაკრული, ნაჭუჭი კი მთლიანად გაიხსნა მჟავაში. ახლა იგი კარგად უნდა გაირეცხოს და შემდეგ ტაფაზე შეგიძლია დადო. ასე რომ ანდაზა ტყუილი ყოფილა.

ქიმიკოსი მას არ ემორჩილება,—ხუმრობდა მამა.

— ამ კვერცხით კიდევ მეორე ცდა შეგვიძლია გავაკეთოთ, შეგვიძლია ეს კვერცხი სარძევე ბოთლში ჩავდოთ.

— სარძევე ბოთლში?—გაიკვირვა ედიშერმა. — როგორ შეიძლება ამ ვიწრო ყელში ამოდენა კვერცხი გაძვრეს?

— ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

— ჭურჭელში თხელი ქაღალდები ჩაყარე და ცეცხლი მოუკიდე. მოგაგონდა, ამას რისთვის ვაკეთებ?

— ვიცი, ვიცი!—გახარებით წამოიძახა ედიშერმა.

— მინის ხუფები შენც დაგაყარეს, ავად რომ იყავი, ცეცხლი რომ წაუკიდეს სპირტიან ბამბასა და ხუფებში ამოუსვეს, ხომ მაგრად მოგეკრა სხეულზე? აქ სხეულის მაგიერ ბოთლი ჩვენ კვერცხს შეიწოვს.

მართლაც, ქაღალდების ანთების შემდეგ უცებ კვერცხით დაუცეს თავი მინის ჭურჭელს. თხელაპკიანი კვერცხი თანდათან გაწვრილდა, დაიწყო შეძრომა ბოთლის ყელში და... ბუჰ!—კვერცხი ბოთლის ფსკერზე დაეცა.

— რა მშვენიერია!—ამას ყველა ჩემს ამხანაგს ვაჩვენებ, ახლა მეც უნდა გავიმეორო ეს ცდა,—მოუთმენლად ამბობდა აღტაცებული ედიშერი.

— ჯერ მოიცადე, სამი დღის შემდეგ აჩვენე ამხანაგებს, როცა კვერცხი ბოთლში გაიზრდება.

— რას ამბობ, მამა, კვერცხს ბოთლში რა გაზრდის, ეს ხომ მთლად უცნაურია!

— ახლა ეს ჭურჭელი შენ გებაროს, მიუშვი წყალი შიგ და კვერცხი გაირეცხოს. იქედან მარილის მჟავა გამოვა და წყალს კი ხარბად შეიწოვს, გაიბერება და ბატის კვერცხის ოდენა გახდება.

ედიშერი წყალს მალე უცვლიდა, მეორე კვერცხით კი თვითონ დაიწყო ცდების ჩატარება. მესამე დღეს კვერცხი მართლაც შესამჩნევად გაზრდილიყო.

ედიშერის ამხანაგები ბოთლში დიდ კვერცხს ისე უყურებდნენ, როგორც გალიაში დამწყვდეულ მხეცს.

— აბა, ვნახოთ, თუ მართლა კვრცხია, გამოვიღოთ!

— ამის ამოღება უკვე არ შეიძლება და სხვა ვნახოთ,—ეუბნება ედიშერი ამხანაგებს.

მეორე ცდისათვის მომზადებული კვერცხი დიდის წარმატებით მიძვრებოდა ბოთლში.

-5932-
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცანა

მოგრძო თავით ძაღლს წააგავს,
ტან-ფეხებით — დათვს და ღორს,
უძლურსა და გულმშიშარას
ვერსად ნახავთ იმის სწორს.

დღისით გარეთ არ გამოდის,
სოროში იმალება,
ხოლო ღამით ეანებისკენ
ფრთხილად მიიპარება.

ალ. საჩინოელი



ვინა ხარ შენ?

ამ ნახატის ქვედა მხარეს მოთავსებულ შავ წერტილებს შორის ამოირჩიე რომელიმე, შემდეგ კი გაირბინე შავ ბილიკზე. თუ ასე მოიქცევი, ჩვენ გავიგებთ, თუ ვინა ხარ შენ.

აღებულია რუსულიდან.